

**თბილისის განთავსების სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია**

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ჭიტაძე

სიმფონიის შანრული მოდელის ბარდსახვა

XX საუკუნის მუსიკაში

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 2012

სამეცნიერო ხელმძღვანელი ქეთევან ბოლაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

ექსპერტები: ლეილა მარუაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

 რუსუდან წურწუშია
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
 პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2012 წლის 15 ივნისს
15 საათზე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე № 6

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

აუდიტორია № 421

დისერტაციის დაავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის
ვებ-გვერდზე. www.conservatoire.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს ეკატერინე ონიანი

სწავლული მდივანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
 ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

*სიმფონია სამყაროს უნდა ჰგავდეს.
ის უნდა მოიცავდეს ყველაფერს.
გუსტავ მალერი*

გუსტავ მალერის საყოველთაოდ ცნობილი ეს სიტყვები ადასტურებენ სიმფონიის ჟანრის არსს, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ესაა ინსტრუმენტული მუსიკის ტრადიციული ჟანრი, რომლის მეშვეობითაც კომპოზიტორი ყველაზე ზოგადი, აბსტრაქტული, აბსოლუტური მუსიკის ენაზე ესაუბრება მსმენელს სამყაროს მისეული ხედვის შესახებ, ჟანრი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ლიტერატურაში რომანს, ხოლო ბეთჰოვენის დროიდან კი, ფილოსოფიურ ტრაქტატს უტოლდება.

სიმფონია ინსტრუმენტული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ჟანრია. ის არსებობის სამსაუკუნოვან ისტორიას ითვლის და სხვა ინსტრუმენტული ჟანრებისგან განსხვავებით დღემდე ყველაზე კონსერვატიულად ინარჩუნებს თავის არსს და ფუნქციას.

წინამდებარე დისერტაციის კვლევის **საგნად** სიმფონია ავირჩიეთ სწორედ ჟანრული სიმყარის გამო და ამ თვისებით განვასხვავეთ იგი სხვა ტრადიციული ინსტრუმენტული ჟანრებისაგან. სონატა, კონცერტი და ინსტრუმენტული ანსამბლი – ესაა კლასიკური ინსტრუმენტული ჟანრები, რომლებიც სიმფონიასთან თითქმის ერთად წარმოიშვნენ. ისინი მსგავს სტრუქტურულ, თუმცა სხვადასხვა კონცეფტუალურ პარამეტრებს ეყრდნობიან. ტრადიციულ ინსტრუმენტულ ჟანრებს წარმოშობისა და კრისტალიზებისას, კლასიციზმის პერიოდში, აერთიანებდა სონატურ-სიმფონიური ციკლის აღნაგობა, რომელიც, დროთა განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური სტრუქტურული პარამეტრი

აღმოჩნდა, ვინაიდან ის უშუალოდაა დაკავშირებული მუსიკის ყველაზე მობილურ ელემენტთან – მუსიკალურ ენასთან. დროთა განმავლობაში კი აზროვნებაში, შესაბამისად, მუსიკალურ ენაში მომხდარი ცვლილებების მიმართ სონატა, კონცერტი და ინსტრუმენტული ანსამბლი გახსნილები აღმოჩნდნენ. სხვადასხვა სააზროვნო სისტემაში მათ უფრო ადვილად განიცადეს ადაპტაცია ვიდრე სიმფონიამ, რისი დასტურია თუნდაც ბარტოკის, შარინოს სონატები, რომლებიც ანსამბლისთვისაა, ბულეზის მესამე საფორტეპიანო სონატა, რომელშიც კლასიკური ჟანრისა და ალექტორიკის სინთეზია წარმოდგენილი. რაც შეეხება კონცერტს, მასში ბაროკოს პერიოდის მთავარი კონცერტების პრინციპი იყო და ეს ჟანრი თავიდანვე გარკვეულ თავისუფლებას გულისხმობდა. ინსტრუმენტული ანსამბლები კი XX საუკუნეში სხვადასხვა (ხშირად არატრადიციული) შემადგენლობისათვის არიან და მრავალფეროვანი სტრუქტურული თავისებურებებით ხასიათდებიან. ამგვარად, ეს ის ჟანრებია, რომლებიც, გარემო პირობებიდან გამომდინარე, ადვილად იცვლიან სახეს, რასაც ნაკლებად ვიტყვი სიმფონიაზე.

სიმფონია, სხვა ინსტრუმენტულ ჟანრებთან შედარებით, ცვლილებების მიმართ თითქოს „გულგრილია“. ეს ჟანრი ის მყარი ნაგებობაა, რომელიც სიახლეების ბიძგებზე ყველაზე ნაკლებად რეაგირებს. მის მიმართ როგორც კომპოზიტორს, ისე მსმენელს განსაკუთრებული მოთხოვნები და აღქმის განწყობა აქვს. იგი დღემდე ინარჩუნებს თავის „ავტორიტეტს“ და ვითარდება. „მუსიკაში, უფრო ზუსტად – „სუფთა“ მუსიკაში სიმფონია – ინტელექტუალიზმის მთავარი მატარებელია“¹.

სიმფონია თითქოს ყველაზე კარგად შესწავლილი და ყველასთვის კარგად ნაცნობი ჟანრია. თუმცა არსებობს რაკურსი, რომელიც ნაკლებადაა (თითქმის არაა) შესწავლილი

¹ Задерацкий, В. (1987). *Симфония и реализм*. Журн.: *Советская музыка* 1987 № 2, стр.: 15.

მუსიკისმცოდნეობაში. ესაა სიმფონიის, როგორც ჟანრის – კულტურის მყარი კატეგორიის არსებობა მისი წარმოშობისა და კრისტალიზების პერიოდისგან განსხვავებულ, ზოგიერთ შემთხვევაში (მოღერნი, ავანგარდი) კი რადიკალურად განსხვავებულ გარემო პირობებში. ჩვენი დისერტაციის მიზანია დავადგინოთ, თუ რატომ და როგორ ინარჩუნებს არსებობას კლასიციზმის პერიოდში ჩამოყალიბებული სიმფონიის ჟანრი XX საუკუნეში, რა გზებით ვითარდება ის.

აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მუსიკებს აზრი, რომ ბეთჰოვენის შემდეგ სიმფონიის ფორმა აღარ განვითარებულა: „თანამედროვე სიმფონია ეფუძნება ძველ, ბეთჰოვენის მიერ მწვერვალამდე განვითარებულ ფორმებს და არავინ იტყვის თავს იმაზე, რომ იპოვოს რაღაც ახალი“, – წერს ანტონ ვებერნი². საკუთრივ ჟანრის განვითარების თვალსაზრისით კი დღემდე საუბრობენ, რომ „მადერის შემდეგ სიმფონია წარმოუდგენელია – მან დასვა წერტილი ჟანრის განვითარებაში“³. – მიუხედავად ასეთი მიდგომისა, სიმფონიები დღემდე იქმნება და ჟანრი საკმაოდ საინტერესო გზებით ვითარდება, რისი დასტურიც ცოცხალი საკომპოზიტორო პრაქტიკაა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარეობს დისერტაციის **ობიექტი** – კულტურის მყარი კატეგორია, **ჟანრი**. მისი წარმოშობის, არსის, განვითარების პროცესის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რთული პროცესების ანალიზისთვის, რომლებიც სიმფონიამ გაიარა არსებობის სამსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია შეკითხვები: როგორ ყალიბდება ჟანრი? რა არის ჟანრი? და როგორ ვითარდება იგი?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჟანრი ესაა მოღელი, რომელიც გარკვეულ ეპოქასა და სოციალურ გარემოს განე-

² Веберн, А. (1975). *Лекции о музыке. Письма*. Москва: Музыка. стр.: 18.

³ ბარდანაშვილი, ი. (2009, 10. 09). (ქ. ჭიტაძე, ინტერვიუერი).

კუთვნიება,ის არასოდესაა სტატიკური და მისდევს აზროვნების განვითარების დინამიკას. ჟანრი იგივე მემკვიდრეობაა, ესაა მოდელი, რომელიც ტრადიციად იქცა და თაობიდან თაობას გადაეცემა. სწორედ თაობათა ცვლაში იგი ვითარდება, მდიდრდება ახალი თვისებებით, რაც, ხშირ შემთხვევაში, ცვლილებას ნიშნავს და ჟანრისთვის, როგორც კულტურის მყარი კატეგორიისთვის, ზოგიერთი, მანამდე სტაბილური თვისების დაკარგვას უტოლდება.

ამგვარად, ჟანრი ისტორიულ-კულტურული მეხსიერება და ცნობიერებაა, როგორც კომპოზიტორის,ისე მსმენელის: ის მოქმედებს როგორც მუსიკის შეთხზვისას, ისე მისი მოსმენისას.

კომპოზიტორს და მსმენელს, ორივეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული წარმოდგენა აქვთ გარკვეულ ჟანრზე. ესაა ჟანრის სტერეოტიპი, მოდელი, ხატი, რომელიც მუსიკის სხვადასხვა გიგანტებმა დატოვეს. და სიმფონიაც, სწორედ ის ჟანრია, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო ტრადიციას, მემკვიდრეობას, სტერეოტიპს წარმოადგენს. იგი აზროვნებაში მომხდარი რადიკალური ცვლილებების მიუხედავად განაგრძობს არსებობას. ჩვენი დისერტაციის **ამოცანაა** საე-ტაპო მნიშვნელობის სიმფონიების ანალიზის მეშვეობით დავადგინოთ ამ ჟანრის სიმყარის მიზეზები და განვითარების მექანიზმი. ამისთვის ჩამოვაყალიბეთ კრიტერიუმები, რომლითაც განვიხილავთ თითოეულ სიმფონიას ჟანრულ პარადიგმასთან სიახლოვისა თუ ახალი გზის ძიების თვალსაზრისით.

დისერტაციის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე დავამუშავეთ სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ლიტერატურა. შევისწავლეთ ჟანრი როგორც ზოგადად, ხელოვნებაში, ისე მუსიკაში. ჟანრის რაობის, მისი განვითარების შესწავლის რაკურსში, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მ. კაგანის Морфология искусств, სადაც ზოგადად, ჟანრის არსი, მისი, როგორც ცნების არსებობის ისტორია, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში ჟანრების დიფერენცირება იყო წარმოდგენილი. ქ. მილერის

ნაშრომმა (Genre as Social Action) გაგვაცნო ჟანრის ახალ, ზოგად თეორიას, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, რომელშიც სოციოლოგიურმა ასპექტმა წამოიწია წინა პლანზე და ამით ჩვენთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან ჟანრის ფუნქციონირების საკითხებს ეხება.

შევისწავლეთ ჟანრის შესახებ მუსიკოლოგიაში არსებული თითქმის ყველა თეორია: მ. არანოვსკის (Структура музыкального жанра и современная ситуация в музыке), ლ. ბერეზოვჩუკის (Музыкальный жанр как система функций), მ. ლობანოვას (Музыкальный стиль и жанр. История и современность), ე. ნაზაიკინსკის (Стиль и жанр в музыке), ა. სოსორის (Теория музыкальных жанров: задачи и перспективы), ვ. ცუკერმანის (Музыкальные жанры и основы музыкальных форм), დ. ჩენდლერის (An Introduction to Genre Theory) და სხვათა ნაშრომები. მათ შორის ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ცუკერმანის და, განსაკუთრებით, მ. არანოვსკის ფუნდამენტურ ნაშრომებს, სადაც ჟანრის არსი მუსიკაში, მისი სტრუქტურა და ფუნქციონირების სიტუაციაა განხილული. ჟანრის თეორიას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ჩვენს საბაკალავრო („ჟანრის დესტაბილიზაციის პრობლემა XX საუკუნის პირველი ნახევრის კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკაში“) და სამაგისტრო („მუსიკალური ჟანრი: ტრადიციის გარდაქმნა. ახალი გზების ძიება“) დიპლომებში. მათში დაწეხული კვლევის გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენი დისერტაცია.

დისერტაციის საგანი – სიმფონიის ჟანრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართოდაა განხილული არაერთ ნაშრომში, მის გენეზისზე და რაობაზე მუშაობისას მუსიკის ისტორიასა და თეორიაში არსებულ რამდენიმე კვლევას დავეყრდენით. ჟანრის რაობა სოციოლოგიური რაკურსით შესწავლილია პ. ბეკერის ნაშრომში Симфония от Бетховена до Малера; მნიშვნელოვანი იყო ასევე ი. სოლერტინსკის, ტ. ჩერნოვას და ე. მიხალჩენკოვას შრომების გაცნობა, რომლებიც სიმფონიის

დრამატურგიულ ტიპებს იკვლევენ; თუმცა, ჩვენი კვლევის მიმართულებაზე სიმფონიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის ყველაზე დიდი გავლენა იქონია ისეთმა ფუნდამენტურმა კვლევამ, როგორცაა მ. არანოვსკის *Симфонические искания*, სადაც განხილულია ჟანრის პარადიგმული ნიშნები. *Симфонические искания* სცილდება მუსიკალურ-ანალიტიკური ნაშრომის ფარგლებს და მუსიკალურ-ფილოსოფიური ნაშრომის სიმაღლეებს აღწევს, მაგრამ, არანოვსკის პოსტულატებს ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვიზიარებთ. დისერტაციის თეორიულ ნაწილში ასევე ვაანალიზებთ უახლეს თეორიებს, რომელთა შორისაც გამოვყოფთ ვინოგრადოვა-ჩერნიაევის თეორიას (*Симфония в этимологическом ракурсе*), რომელშიც სიმფონიის ჟანრის ეტიმოლოგიურ რაკურსში შესწავლა ხდება და სწორედ ეს რაკურსია მიჩნეული უკანასკნელი დროის სიმფონიის თეორიული გააზრების მთავარ ტენდენციად.

გარდა ამისა, თავისთავად ცხადია, გავეცანით მონოგრაფიულ ლიტერატურას, სხვადასხვა სტატიას და ვებ-გვერდს, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ გაანალიზებული სიმფონიების ავტორთა შემოქმედებას. ესენია ჩ. აივზი, დ. შოსტაკოვიჩი, ა. შნიტკე, ლ. ბერიო, ი. სტრავინსკი, ო. მესიანი, ი. სიბელიუსი, ს. ბარბერი, ა. შონბერგი, ა. ვებერნი, ს. გუბაიდულინა, გ. ყანჩელი, ი. ბარდანაშვილი, ს. ნასიძე, ჯ. ადამსი და სხვ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დისერტაციის პრობლემატიკაზე მუშაობისას გავეცანით XX საუკუნეში შექმნილ სხვადასხვა კომპოზიტორის მრავალ სიმფონიას (სხვადასხვა წყაროში მითითებულია, რომ 1901-იდან 2010 წლამდე პერიოდში სამასზე მეტი სიმფონიაა შექმნილი). მუშაობის ბოლო ეტაპზე მოხდა სიმფონიების გადარჩევა ორი ძირითადი კრიტერიუმით: 1. ჟანრულ პარადიგმასთან ურთიერთობის ტიპი – სიახლის ხარისხის დონე; და 2. ნაწარმოებების მაღალი მხატვრული ღირებულება. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით დისერტაციაში არ შევიდა მთელი რიგი კომპოზიტორ-

რების სიმფონიები, რომლებიც ზუსტად ან თითქმის ზუსტად იცავენ ჟანრის პარადიგმულ მახასიათებლებს (ესენია შოსტაკოვიჩის სიმფონიების დიდი ნაწილი, ჰინდემიტის, ონეგერის, პროკოფიევის სიმფონიები და სხვ.), ან არ აკმაყოფილებდნენ განსაკუთრებულ მხატვრულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, ჩვენი კვლევა მოიცავს დროისა და კულტურის არა შეზღუდულ არეალს, არამედ ფართო, გლობალურ სპექტრს, რის გამოც აუცილებელი შეიქმნა არჩევანის გაკეთება. სიმფონიის ანალიტიკურ ნაწილზე მუშაობის პროცესში თანდათან გამოიკვეთა სიმფონიების კლასიფიკაციისთვის განმსაზღვრელი კრიტერიუმები: **კონცეფცია, სტრუქტურა, შემადგენლობა**. სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით ვახდენთ ანალიტიკურ ნაწილში სიმფონიების მრავალფეროვანი სპექტრის კლასიფიკაციას.

წინამდებარე დისერტაციაში წარმოდგენილია სიმფონიის ჟანრის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი. ჟანრის მრავალფეროვანი ნიმუშების სისტემატიზაციის გზით ვაღვენთ მთავარ და მდგრად პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ სიმფონიის ჟანრს და მათი ცვალებადობით მიღებულ შედეგებს, რაც წარმოადგენს ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს**. სიმფონია, მიუხედავად ჟანრულ მოდელში ცვლილებებისა, დღესაც განაგრძობს არსებობას და განვითარებას, ამდენად, ჟანრის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა ახალ რაკურსში განსაზღვრავს ჩვენი ნაშრომის **აქტუალობას**.

ჩვენი დისერტაციის კვლევის **თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა** ჟანრული ანალიზის მეთოდია, რაც, თავისთავად, გულისხმობს ნაწარმოებების მთლიან ანალიზსაც.

ამგვარად, დისერტაციის პრობლემატიკიდან, მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე გამოიკვეთა მისი სტრუქტურა. იგი წინათქმის, თავებად დაყოფილი ორი ნაწილისა და დასკვნისაგან შედგება, რომელშიც თავმოყრილი და განზოგადებულია დისერტაციის კვლევის შედეგები. დისერტაციას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი (სქემები).

ნაშრომის შინაარსი

დისერტაციის პირველი ნაწილი: „**ქანრი ხელოვნებაში და მუსიკაში. სიმფონია**“ ორი თავისგან შედგება. პირველ თავში „**ქანრი: ცნების არსი. ქანრი მუსიკაში**“ განხილულია ქანრის ცნება ხელოვნებაში, ტერმინის წარმოშობისა და სხვადასხვა მკვლევართან მისი გააზრების ისტორია ანტიკური პერიოდიდან დღემდე. ყურადღება განსაკუთრებულადაა გამახვილებული ქანრის გააზრებაზე მუსიკაში, მასში მოყვანილია სხვადასხვა მკვლევარის პოზიცია ქანრის დეფინიციასა და კლასიფიკაციასთან მიმართებაში. კერძოდ, განვიხილეთ თ. ადორნოს, ვ. ცუკერმანის, ა. სოხორის, დ. ჩენდლერის, ქ. მილერის, თეორიები, რომლებშიც ქანრი განხილულია, ძირითადად, სოციალურ კონტექსტში; ლ. ბერეზოვჩუკის მოსაზრება ქანრის კატეგორიის ფსიქოლოგიური და სემიოტიკური ასპექტების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა უმეტესობის აზრით, ქანრი ამოუწურავ მოვლენას წარმოადგენს. მუსიკალური ქანრის შესახებ მ. არანოვსკი წერს: „ქანრი, ჩვენი თვალსაზრისით, პრინციპულად ამოუწურავი მოვლენაა, რადგან ის 1) ნაწარმოების ყველა თვისების ინტეგრირებული, ფინალური გამოხატულებაა; 2) თითოეული ეპოქა მუსიკალურ ხელოვნებაში მის ისტორიულ გზაზე ხსნის ქანრში რაიმე ახალს, აქამდე შეუნიშნავ ან ნაკლებამოვლენილ მხარეს; 3) ამას ხელს უწყობს მეცნიერების განვითარება“⁴.

ამ „არასტაბილური სტაბილურობის“ გამო, მკვლევართა ნაწილი ქანრის პრობლემას თეორეტიკოსების გამოგონილს უწოდებს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დღემდე არ არსებობს თეორია, რომელიც ამომწურავ პასუხს გასცემდა პრობლემის ირგვლივ დასმულ ყველა შეკითხვას. მუსიკოლოგიაში მთელი რიგი გამოკვლევებია მიძღვნილი ქანრის ფენომენისადმი,

⁴ Арановский, М. (1987). *Структура музыкального жанра и современная ситуация в музыке*. В сб.: *Музыкальный современник*. Вып. 6. Москва: Советский композитор, стр.: 7.

თუმცა ავტორთა პოზიციების რაოდენობა თითქმის თანაბარია. სხვადასხვა მკვლევარი პრობლემას სხვადასხვა რაკურსში იხილავს, რაც ჟანრის დეფინიციების მრავალფეროვნებაშიც ვლინდება.

პირველი, **თეორიული ნაწილის მეორე თავში: „სიმფონია: ჟანრის გენეზისი. ჟანრის თეორია“** შესწავლილია სიმფონიის ჟანრის გენეზისი, მისი ინსტრუმენტული წანამდგვრები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიმფონია „აბსოლუტური“ მუსიკის ჟანრს წარმოადგენს, სადაც მსმენელთან ურთიერთობის საფუძველი არა კონკრეტული პროგრამა-სიუჟეტი, არამედ იმანენტური მუსიკალური კანონზომიერებებია. ამიტომაც, ჩვენთვის აქტუალური სწორედ ეს უკანასკნელი იყო. გამოვიკვლიეთ, თუ რა გზით მოხდა ამა თუ იმ ჟანრის ჩამოყალიბება და რა როლი შეასრულა თითოეულმა მათგანმა სიმფონიის ფორმირებაში. ჩვენი კვლევის არეალში მოხდა, ერთი მხრივ, კამერული მუსიკის ჟანრები: ტრიო-სონატა და სოლო ხემიანი სონატა; ხოლო, მეორე მხრივ, საორკესტრო მუსიკის ადრეული ჟანრები: საორკესტრო სიუიტა (ასევე *Nachtmusik*-ი), *Concerto grosso* და იტალიური უვერტიურა. მოცემული ჟანრებიდან გამოვყავით თვისებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სიმფონიის ფორმირებაში.

ცნობილია, რომ XVII საუკუნის სხვადასხვა ჟანრებში, მიმართულებებში, სკოლებში გაბნეული ელემენტები ერთიან სისტემაში პირველად ჰაიდნმა გაამთლიანა, სისტემაში, რომელშიც არც ერთი ელემენტი არ არსებობს მეორესგან დამოუკიდებლად. საკუთრივ ჰაიდნის შემოქმედებაში სიმფონიის ჟანრის პარამეტრების გამყარებას თითქმის ორი ათეული წელი დასჭირდა. ჰაიდნის მიერ მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ჟანრის კრისტალიზება კი მოცარტისა და ბეთჰოვენის შემოქმედებაში მოხდა. ამგვარად, მუსიკალურ ხელოვნებასა და, ზოგადად, კულტურაში წარმოიშვა ისეთი მყარი ჟანრული მოდელი, რომელმაც თავისი მთავარი მახასიათებლები და აქტუალობა დღემდე შეინარჩუნა, ამაში

კი მნიშვნელოვანი როლი ჟანრის ფუნდამენტმა, მისმა ინსტრუმენტულმა წანამძღვრებმა ითამაშა.

სიმფონიის თეორიისადმი მიძღვნილ თავში ასევე მოგვეყავს ჟანრის ენციკლოპედიური განმარტებები, რომლებიც მიესადაგება თითქმის ყველა კლასიკურ სიმფონიას, თუმცა, იმასაც აღვნიშნავთ, რომ უკვე კლასიციზმის პერიოდში გვხვდება არაერთი გამონაკლისი. ვენის კლასიკოსებთან სიმფონია ჩამოყალიბდა როგორც ჟანრი, მაგრამ უკვე ჩამოყალიბების სტადიაზე იგი მოიცავდა იმ თვისებებს, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენდნენ ჟანრის სტაბილურ ნიშნებს და, ასევე, შეიცავდნენ მისი შემდგომი განვითარების პოტენციალს, იმ თვისებებს, რომლებიც XIX და XX საუკუნეში განვითარდა. საკუთრივ ამ თვისებების, უფრო სწორად, თვისებების სისტემის შესწავლა კი უკვე სხვადასხვა თეორეტიკოსის მიერ განხორციელდა და ხორციელდება დღემდე, რასაც დისერტაციის მომდევნო პარაგრაფი ეძღვნება სათაურით: „**სიმფონიის ჟანრის თეორიული კონცეფციები**“.

მასში განხილულია სიმფონიის ჟანრის თეორიული კონცეფციები (ბეკერი, სოლერტინსკი, არანოვსკი, ვინოგრადოვა-ჩერნიაევა და სხვ.), რომელთა შორისაც ყურადღება არანოვსკის თეორიაზეა შეჩერებული. ასევე, განმარტებულია ასაფიევის მიერ შემუშავებული ტერმინი: **სიმფონიზმი** და გაანალიზებულია ამ ცნების სიმფონიის ჟანრთან ურთიერთობა, ასევე მისი სპეციფიკა, სხვადასხვა მკვლევარის და საკუთარი მიდგომა ტერმინის მიმართ.

პარაგრაფის ბოლოს ჩამოყალიბებულია ჟანრის თანამედროვე მდგომარეობის საკუთარი ხედვა.

სიმფონიის თეორიული კონცეფციების ანალიზის საფუძველზე ვადგენთ, რომ ჟანრის შესახებ წარმოდგენა თეორიაში კერძოდან ზოგადისკენ შეიცვალა. ბუნებრივია, თეორიაში ნებისმიერ ცვლილებას ყოველთვის პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებები უდევს საფუძვლად. რასაკვირველია, სიმფონიის ჟანრის ნიშნების გარდასახვა არ მომხდარა უმიზეზოდ და ის

ხანგრძლივი ევოლუციის შედეგი იყო. თუმცა თანამედროვე სიტუაციის გათვალისწინებით ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის ნახვა, თუ რა, როგორ და რატომ შენარჩუნდა სიმფონიის ჟანრულ მოდელში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის ამ ეტაპზე ისიც ნათელია, რომ ჯერ არ შექმნილა ფუნდამენტური გამოკვლევა სიმფონიის თანამედროვე სიტუაციის შესახებ, რაშიც მდგომარეობს ჩვენი ნაშრომის აქტუალობა.

ამგვარად, სიმფონიაზე, მის კლასიკურ მოდელზე, თეორეტიკოსების, უმეტესად, არანოვსკისეულ კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ კრიტიკერიუმები, რომლებიც ჟანრის ტიპოლოგიურ მოდელს წარმოგვიდგენენ. ესენია:

1. განზოგადებული კონცეფცია;
2. მიმართვა ფართო აუდიტორიისკენ – დიდი მასისკენ;
3. სიმფონიური ორკესტრი;
4. ციკლი – ნაწილთა განსაზღვრული რაოდენობით და ფუნქციებით;
5. ნაწილების შიდა სტრუქტურა;
6. ხანგრძლივობა.

ზემოჩამოთვლილი ნიშნები ერთმანეთისგან გამომდინარეობენ, რითიც ისინი სისტემას ქმნიან. თუმცა ერთი მნიშვნელოვანი პირობით – ისინი დამოკიდებული არიან გარკვეული პერიოდის ესთეტიკაზე: სიმფონიის ადრესატი – მსმენელთა ფართო აუდიტორიაა, რაც ჟანრის არსიდან – განზოგადებული კონცეფციიდან, სამყაროს გლობალური ხედვიდან ბუნებრივად გამომდინარეობს. ჟანრის კონცეფციიდან გამომდინარეობს ასევე შემადგენლობის პარამეტრი – სიმფონიური ორკესტრი, ე. წ. „აბსოლუტური მუსიკა“, რომელიც განზოგადებულობის ერთ-ერთ მწვერვალს წარმოადგენს მუსიკაში. რაც შეეხება ციკლს, იგი ნაწილების განსაზღვრული რაოდენობითა და ფუნქციებით კლასიკური მოდელისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პა-

რამეტრია. კლასიციზტურ მოდელში თითოეული ნაწილი ადამიანის კონცეფციის კონკრეტულ წახნავს შეესაბამება, რაც არანოვსკის თეორიაში ასე ნათლადაა წარმოჩენილი. ხანგრძლივობა – დროის ფაქტორი XX საუკუნის მუსიკაში კლასიციზტურისგან სრულიად განსხვავებულად აღიქმება და გაიაზრება. კლასიციზტურისგან განსხვავებულია ასევე სტრუქტურული კატეგორიები, რაც გამომდინარეობს მუსიკალური ენის სპეციფიკიდან, მისი მობილური ბუნებიდან.

კლასიციზმის პერიოდში ყველა ეს პარამეტრი მთლიან სისტემაში ერთიანდებოდა და ქმნიდა ჟანრის მოდელს – ჟანრის ინვარიანტს. თუმცა, უკვე XIX საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი XX საუკუნეში დაწერილი სიმფონიები ამ პარამეტრებს, ხშირ შემთხვევაში, სცილდებიან, სულ უფრო მკაფიო ხდება, რომ უნივერსალურობისა და განზოგადებულობის მიუხედავად (რაც მის ყველა პარამეტრს გულისხმობს), სიმფონიას რამდენადმე შეეცვალა მახასიათებლები. ყოველივე ეს კი ბუნებრივია, რადგან კლასიციზმის პერიოდში ჩამოყალიბებული ჟანრი გარკვეულ ენობრივ, სტრუქტურულ, ფუნქციურ, დრამატურგიულ თუ კონცეფტუალურ კრიტერიუმებს გულისხმობს, რამაც აქტუალობა დაკარგა XX საუკუნეში.

თავისთავად, თუ ადრე კომპოზიტორის მიერ სიტყვა „სიმფონიით“ დასათაურებული თხზულება წარმოადგენდა ციკლურ ნაწარმოებს, რომელიც ნაწილთა გარკვეულ რაოდენობას, ფუნქციებს და კონსტრუქციებს, მუსიკის ხანგრძლივობას გულისხმობდა, დღევანდელ დღეს სიმფონია, ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ დიდი ფორმის საორკესტრო ნაწარმოებია. ცვლილებებმა აზროვნებაში, შეცვალა ბევრი რამ, დაწყებული მუსიკალური ენიდან, დამთავრებული ფორმით, უფრო მეტიც ჟანრზე წარმოდგენით.

ჟანრზე ახლებური წარმოდგენა, თეორიაში ორი მიმდინარეობით განვითარდა. მკვლევართა ნაწილი ჟანრის კრიზისზე საუბრობს, ხოლო ნაწილი ახლებურ გააზრებას ეძებს.

ჩვენი აზრით კი თანდათანობით მოხდა ნიშანთა შორის სტაბილურობისა და მობილურობის დიფერენცია – ჟანრის შიგნით მოხდა ნიშანთა სისტემის ბალანსის შეცვლა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დროთა განმავლობაში, ძირითადად, იცვლებოდა საკუთრივ არა ნიშნები, არამედ მათი იერარქია. სხვადასხვა სტილი თუ მიმართულება სხვადასხვა თვისებას წამოწევდა წინ, შესაბამისად მეორეხარისხოვანი ხლებოდა სხვა.

სიმფონიის ჟანრის ნიშანთა სისტემის იერარქიაში მთავარი ყოველთვის ჟანრის არსი – განზოგადებული კონცეფცია იყო. რასაც დღემდე შექმნილი არაერთი სიმფონია ადასტურებს.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, დაკავშირებულია ჟანრის მნიშვნელოვან თვისებასთან: ჟანრი არაა ერთხელ და სამუდამოდ ისტორიულად ჩამოყალიბებული მოცემულობა, მისი წარმოშობა დაკავშირებულია სოციალურ მოთხოვნასა და ფუნქციონირების გარკვეულ სიტუაციასთან, და განპირობებულია გარკვეული ეპოქის ესთეტიკითაც, რომელშიც დროის დინებას, განვითარებას ბევრი ცვლილება შეაქვს, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი პირობით: ჟანრში ყოველთვის შენარჩუნებულია მისი მთავარი, **სემანტიკური პარამეტრი**, მისი **რაობა** (შინაარსი, რომელთანაც დაკავშირებულია ყველა დანარჩენი პარამეტრი). ჟანრული რაობის დაკარგვის შემთხვევაში იგი **სხვა** ჟანრად იქცევა. ჟანრის თეორიისთვის ამგვარი მიდგომა შედარებით ახალია, მას მრავალი მკვლევარი შეეხო როგორც ლიტერატურათმცოდნეობაში, ისე მუსიკოლოგიაში. ერთ-ერთი თანამედროვე დეფინიცია, რომელიც მუსიკისმცოდნე ალა კორობოვას ეკუთვნის ასეთია: მუსიკალური ჟანრი – მუსიკალური ნაწარმოების მთლიანი გავრულ-სახეობითი მოდელია (გენოტიპი), რომელიც გამოირჩევა შინაარსის ზოგადი ნაკვთების, აღნაგობის და პრაგმატიკის (დომინირებადი ნიშნის ან ნიშანთა ფონზე) ისტორიულად მოძრავი კოორდინაციით. იგი დეტერმინირებულია ხელოვნების (ეპოქის, ეროვნული სკოლის, მიმდინარეობის და ა. შ.) სხვა

ქანრული სისტემის კომპონენტებთან ურთიერთქმედებით, ფუნქციონირებს როგორც მუსიკის ისტორიული არსებობის სუბიექტი და როგორც თეორიული რეფლექსიის ობიექტი⁵.

ამგვარად, სიმფონიის **მთავარი** ინვარიანტულ-სემანტიკური მახასიათებელი, მისი რაობა – **განზოგადებული კონცეფციაა**, იგი წარმოადგენს ავტორის მიერ სამყაროს გლობალურ, მისეულ ხედვას: „სიმფონიები გასაოცარი თვისების მატარებლები არიან – გამოხატონ ფსკერამდე კომპოზიტორის შემოქმედებითი პოტენციალი და ერთმნიშვნელოვნად უპასუხონ შეკითხვას: აქვს თუ არა მას საკუთარი სამყარო? თუ აქვს, როგორია იგი?“⁶. სიმფონია სამყაროს და ყოფის მრავალფეროვანი სურათის შემეცნების მცდელობაა და მისი ეს მთავარი მახასიათებელი თითქმის ყველა შემთხვევაში უცვლელია. გამონაკლისს წარმოადგენენ ცალკეული ავტორების მიერ სიმფონიის ეტიმოლოგიურ რაკურსში (როგორც „თანაჟღერადობის“) გააზრების ზოგიერთი შემთხვევები.

კონცეფციასთან უშუალო კავშირშია ქანრის ნიშანთა იერარქიაში **მეორე** მნიშვნელოვანი პარამეტრი – სტრუქტურა, ის თუ **როგორაა** წარმოდგენილი ნაწარმოების არსი, მისი **რაობა**. სიმფონიის კლასიციტური მოდელიდან XX საუკუნეში, როგორც წესი, შენარჩუნებულია ქანრის ძირითადი სტრუქტურული მახასიათებლები (ციკლურობა, ოთხნაწილიანობა); ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება მისი მოდიფიკაცია (ერთნაწილიანი ან მრავალნაწილიანი სიმფონია), თუმცა კონცეფცია ამ შემთხვევაში რადიკალურად არასოდეს იცვლება.

ქანრის იერარქიაში **მესამე** მნიშვნელოვანი პარამეტრი – **თუ რისი მეშვეობით** სორციელდება კონცეფცია, დაკავშირებუ-

⁵ Коробова, А. (2008). *Пастораль в музыке европейской традиции: к теории и истории жанра*. Автореферат диссертации на соискание учёной степени доктора искусствоведения. Москва: *Московская государственная консерватория*. стр.: 6.

⁶ Али-заде, Ф. (1987). *Верю в «третью волну»*. Журн.: *Советская музыка*, 1987 № 7, стр.: 15.

ლია **შემადგენლობასთან**⁷. სიმფონიისთვის ეს პარამეტრი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აბსოლუტური მუსიკის ჟანრის შემადგენლობაში ცვლილებები (სიტყვიერი ტექსტის შემოტანა, რითაც შინაარსი განზოგადებულიდან კონკრეტიზაციისკენ იხრება), რიგ შემთხვევებში ჟანრულ ნაირსახეობებს წარმოშობს. თუმცა აქაც – ცვლილება იშვიათად თუ ეხება ჟანრის არსს, მის განზოგადებულობას.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმები შეიძლება სქემატურად წარმოვიდგინოთ როგორც პირამიდა, რომელშიც ფუნდამენტის მნიშვნელობა აქვს პირველ პარამეტრს – კონცეფციას, ხოლო დანარჩენი ორი – სტრუქტურა და შემადგენლობა მასზეა დაშენებული. სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით გავანალიზეთ მთელი რიგი სიმფონიები ნაშრომის **მეორე ნაწილში**.

ჩამოთვლილი სამი პარამეტრი განაპირობებს დისერტაციის **მეორე, ანალიტიკური ნაწილის „სიმფონიის ჟანრი XX საუკუნეში: განვითარების გზები და ძირითადი პრინციპები“** სტრუქტურას. მისი პირველი თავი **სიმფონია და „სინფონია“**, ერთი მხრივ, ეხება იმ სიმფონიებს, რომლებშიც სამივე პარამეტრია წარმოდგენილი, და ამავე დროს განვითარების ახალ გზებს ხსნიან; ხოლო, მეორე მხრივ კი, მასში განხილულია ის სიმფონიები, რომლებშიც ჟანრული დასახელება „სიმფონია“ კომპოზიტორების მიერ ეტიმოლოგიურ რაკურსშია წარმოდგენილი. შესაბამისად, მათში ნაკლები ინტენსივობით მოქმედებენ ჟანრის სტაბილური პარამეტრები.

ტრადიციასთან კავშირის კუთხით განხილულია ჩ. აივზის მეოთხე, დ. შოსტაკოვიჩის მეთხუთმეტე, ა. შნიტკეს პირველი და მესამე, ვ. სილვესტროვის მეექვსე, ნ. სვანიძის სიმფონიები, რომლებშიც მკაფიოდ ჩანს, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მრავლად იქმნება ისეთი საეტაპო მნიშვნელობის

⁷ მუსიკა თავდაპირველად დიდ ჟანრულ ჯგუფებად, გვარებად სწორედ შემადგენლობის მიხედვით იყოფოდა და ეს დიფერენციაცია დღემდე გრძელდება.

სიმფონიები, რომლებიც ჟანრის სტაბილურ ნიშნებს პასუხობენ. უფრო მეტიც, წარმოდგენილია სიმფონიები, სადაც თითქმის სრულადაა დაცული ჟანრის ტიპოლოგიური ნიშნები, ადამიანის კონცეფციის არანოვსკისეული ძირითადი ეტაპები. ასეთია, პირველ რიგში, აივზის მეოთხე სიმფონია, სადაც ნაწილთა ტრადიციული რაოდენობა და ადამიანის კონცეფციის ძირითადი ეტაპებია უმნიშვნელო გადახაზვებით წარმოდგენილი. ასევე შოსტაკოვიჩის მეოთხე სიმფონია, სადაც დაცულია ნაწილთა ტრადიციული თანაფარდობა და ფუნქციები, ამას ემატება სონატური ფორმის ნიშნები ციკლის პირველ ნაწილში. აივზის სიმფონიაში ერთი ახალი ტენდენცია იკვეთება, რომელიც შოსტაკოვიჩთან თავისებურ გაგრძელებას პოულობს. ესაა: ტექსტი-სხვატექსტის ურთიერთობა, მსმენელთან ე. წ. თემა-სიმბოლოებით კომუნიკაცია (აივზის შემთხვევაში მანჰეტენის მელოდიები, საგალობელი; შოსტაკოვიჩთან თემა-სიმბოლოები სხვადასხვა ავტორის ცნობილი ნაწარმოებებიდან).

აივზის სიმფონიაში დასახული ეს ტენდენცია 60-იან წლებში აღწევს განვითარების მწვერვალს და მისი გამოყენება სიმფონიაში დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ამ კონტექსტში პირველივე თავში ასევე ვიხილავთ აღფრედ შნიტკეს პირველ და მესამე სიმფონიებს, სადაც სიმფონიის ტიპოლოგიურ პარამეტრებთან ერთად თემა-სიმბოლოებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია, რომ შნიტკეს მესამე სიმფონიაში სონატურ-სიმფონიური ციკლის იდეა ტრადიციულისგან განსხვავებულადაა წარმოდგენილი. აქ გარეგნულ ოთხნაწილიანობაში რეალური სამნაწილიანობაა: პირველი ნაწილი შესავლის, ხოლო მეორე სონატური Allegro-ს ფუნქციას ასრულებს (მსგავსი მოვლენაა სილვესტროვის მეექვსე სიმფონია). პირუკუ პროცესს ვხედავთ ნათელა სვანიძის სიმფონიაში, სადაც გარეგნულ სამნაწილიანობაში კონცეპტუალური ოთხნაწილიანობაა, რადგან ციკლის დასკვნითი, მესამე ნაწილი წარმოადგენს სკერცოს და ფინალს ერთდროულად.

„ტრადიციულ“ სიმფონიებს ამავე თავში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვუპირისპირებთ „სიმფონიებს“, რომლებიც ჟანრულ მახასიათებლებთან ყველაზე ნაკლებ კავშირში არიან, სადაც კომპოზიტორების მიერ ცნება სიმფონია ეტიმოლოგიურად გაიზრება. სიმფონია, როგორც ცნობილია, თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით „თანაჟღერადობას“ ნიშნავს. სწორედ ამ ასპექტით გამოიყენებოდა ეს ტერმინი ინსტრუმენტული მუსიკის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე და მხოლოდ მოგვიანებით, XVIII საუკუნეში მიენიჭა მას სტაბილური ნიშნების მქონე ჟანრის მნიშვნელობა.

ამ კონტექსტში განვიხილავთ ლ. ბერიოს *Sinfonia 1968*-ს და ი. სტრავინსკის „სიმფონიებს ჩასაბერი საკრავებისთვის“. ვადგენთ, რომ ამ სფეროში ყველაზე საინტერესო და მკაფიო მაგალითებად დღემდე სწორედ ეს ორი უჩვეულო opus-ი რჩება. ბერიოსთვის, *Sinfonia 1968* – ესაა ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის „სინფონია“ (თანაჟღერადობა). მის ავტორისეულ კომენტარში დეკლარირებულია ნაწარმოების დასახელებაში სიტყვა სიმფონიის ეტიმოლოგიური გააზრება, თუმცა მნიშვნელოვანი პარამეტრებით, პირველ რიგში კი – კონცეფციით ბერიოს ეს თხზულება მჭიდრო კავშირს ავლენს ჟანრის ტრადიციულ გააზრებასთან. ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია სტრავინსკის „სიმფონიები ჩასაბერი საკრავებისთვის“, სადაც სიტყვა სიმფონია ასევე ეტიმოლოგიურადაა გააზრებული და ეს ნაწარმოები არც ერთ დონეზე არ ავლენს კავშირს ჟანრის ტრადიციულ მოდელთან.

ანალიტიკური ნაწილის მეორე თავში **„სტრუქტურა: მრავალნაწილიანი და ერთნაწილიანი სიმფონიები“** განხილულია სტრუქტურის რადიკალური ცვლილების შედეგად მიღებული მრავალნაწილიანი და ერთნაწილიანი სიმფონიები, მათი ჟანრულ მოდელთან ურთიერთობის ტიპი.

განხილულია მესიანის და გუბაიდულინას მრავალნაწილიანი და სიბელიუსის, ბარბერის, ნასიძის, ყანჩელის, ბარდანაშვილის ერთნაწილიანი სიმფონიები.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მრავალნაწილიანი სიმფონიები, როგორც წესი, გარკვეული კონკრეტული პროგრამის და სათაურების მატარებლები არიან, რაც არც თუ ისე სახასიათოა ჟანრის ტიპოლოგიისთვის და ერთგვარად არღვევს „წმინდა“ ინსტრუმენტული მუსიკის კანონებს. მესიანის ათნაწილიანი „ტურანგალილა-სიმფონიის“ და გუბაიდულინას თორმეტნაწილიანი *Stimmen... Verstummen...* სიმფონიის ანალიზმა გვიჩვენა, რომ, როგორც წესი, ასეთ სიმფონიებს აერთიანებს ორი სფეროს დაპირისპირების, მათი განვითარებისა და სინთეზის ტენდენცია. ამ მხრივ, მრავალნაწილიანი ციკლი სონატურობასთან ავლენს გარკვეულ კავშირს. თუმცა, საწყისი სახეების მრავალჯერადი განმეორების გამო იგი რონდოს პრინციპთან უფრო ახლოსაა.

ციკლურობისა და სონატურობის სინთეზი დამახასიათებელია ასევე, სიმფონიის სტრუქტურაში ცვლილების შეტანით მიღებული მეორე პოლუსისთვის – ერთნაწილიანი სიმფონიისთვის. აქ სონატურობა და სონატურ-სიმფონიური ციკლია ერთმანეთში გადაჯაჭვული. ამ კუთხით ანალიტიკური ნაწილის მეორე თავში განვიხილეთ სიბელიუსის მეშვიდე, ასევე ბარბერის პირველი, ნასიძის, ყანჩელის, ბარდანაშვილის სიმფონიები. ყველაზე მკაფიოდ სინთეზის იდეა ბარბერის სიმფონიაში გამოვლინდა, სადაც წარმოდგენილია: სონატური Allegro (პირველი მონაკვეთი), სკერცო (მეორე მონაკვეთი), ნელი ნაწილი (მესამე მონაკვეთი) და ფინალი (პასაკალია, მეოთხე მონაკვეთი) და არანოვსკისეული ადამიანის კონცეფცია: Homo Agens, Homo Ludens, Homo Meditans, Homo Communius – თანმიმდევრობით. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ამ ერთნაწილიანი სიმფონიის ყველა მონაკვეთი-„ნაწილი“ დასაწყისში ექსპონირებული სამი თემის განვითარებას წარმოადგენს.

მრავალნაწილიანი და ერთნაწილიანი სიმფონიებისთვის საერთოა ასევე ორი საწყისის დაპირისპირებისა და მათი განვითარების ტენდენცია. ერთნაწილიან სიმფონიებში ამის

მკაფიო მაგალითებს წარმოადგენენ ნასიძისა და ყანჩელის სიმფონიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირებულ საწყისთა სინთეზის ტენდენცია ნაკლებადაა დამახასიათებელი ყანჩელის სიმფონიისთვის, მაგრამ თვალნათლივანა წარმოდგენილი ნასიძესთან. ანუ, ის, რაც მრავალნაწილიანი ციკლის ნაწილებს შორის (იშვიათად, ნაწილებს შიგნით) ხდებოდა, აქ მონაკვეთებს შორისაა.

ყველა ზემოთქმული თვისებების შეჯამებას კი ბარდანაშვილის მეორე სიმფონია *Way to* წარმოადგენს. მასში საწყისების დაპირისპირება, მათი განვითარება, სინთეზი, ასევე ნაწილთა ტრადიციული ფუნქციებია (რასაკვირველია, მონაკვეთების დონეზე) გამოკვეთილი. ესაა: შესავალი, სონატური Allegro (ექსპოზიცია, დამუშავება რეპრიზის ნიშნებით), ნელი მონაკვეთი, მესამე მონაკვეთი – რეპრიზა, რომელიც წარმოადგენს ფინალს გროტესკული სკერცოს ნიშნებით.

თუ მრავალნაწილიანი სიმფონია, ძირითადად, დაკავშირებულია გარკვეულ შინაარსთან, იდეურ ჩანაფიქრთან, განზოგადებული ტიპის პროგრამულობასთან, ნაწილთა რაოდენობის ზრდა კი სიმფონიის უანრის გაფართოების ტენდენციას გამოხატავს, მის საპირისპიროდ, ერთნაწილიანი სიმფონიისთვის სახასიათოა განზოგადებული კონცეფცია, ციკლურობა ერთიანობაში, გამჭოლი განვითარება, მონაკვეთებს შორის მიჯნის შენიღბვა, კონცენტრირებულობა. როგორც წესი, ერთნაწილიანი და მრავალნაწილიანი სიმფონიების უმეტესობისთვის სახასიათოა რეპრიზულობა (რონდოსებურობა მრავალნაწილიანში), სონატურობისა და სონატურ-სიმფონიური ციკლის ნიშანთა სინთეზირება. სონატიდან, უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია თეზა-ანტითეზა-სინთეზის პრინციპი, რაც ამ უანრის ქვაკუთხედიან; ხოლო ციკლიდან კი – ნაწილთა ფუნქციების მინიშნება (ერთნაწილიანში მონაკვეთების, ხოლო მრავალნაწილიანში ნაწილების დონეზე).

როგორც უკვე აღნიშნეთ, ერთნაწილიანისთვის დამახასიათებელია განზოგადებული კონცეფცია. სწორედ ეს უკანასკნელი, განზოგადებული კონცეფცია წარმოადგენს მთავარ განმასხვავებელ ნიშანს ერთნაწილიან სიმფონიასა და სიმფონიურ პოემას შორის. სიმფონიური პოემისგან განსხვავებით, ერთნაწილიან სიმფონიაში არ გვაქვს პროგრამა, რომელიც სიმფონიური პოემის მთავარი ჟანრული (სიმფონიისგან განმასხვავებელი) ნიშანია. ამგვარად, ამ ორ ჟანრს შორის საერთო მხოლოდ ერთნაწილიანობაა. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვანია, რადგან ერთნაწილიანი სიმფონია, როგორც წესი, სიმფონიურ პოემასთან ასოცირდება: „სიმფონია და სიმფონიური პოემა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს მსოფლიო სიმფონიზმის განვითარებაში, ესაა ურთიერთგამდიდრების პროცესი და ეს კავშირი უკვე მსხვილი ერთნაწილიანი ფორმის ჩამოყალიბების პროცესში გამოვლინდა“, – წერს მ. ყანჩელი⁸. სწორედ ამგვარი მსხვილი ფორმის მკაფიო ნიმუშებია ჩვენს მიერ განხილული ერთნაწილიანი სიმფონიები.

ანალიტიკური ნაწილის მესამე თავი: „შემადგენლობა: შიდაჟანრული და ჟანრთაშორისი სინთეზი“ ჟანრის მესამე პარამეტრს ეძღვნება. შემადგენლობა – სიმფონიის მესამე ძირითადი ჟანრული პარამეტრი, წინა ორისგან (კონცეფცია, სტრუქტურა) განსხვავებით, მთლიანად გარეგნულ მახასიათებელზეა ორიენტირებული. მისი მოდიფიკაცია, ხშირ შემთხვევაში, ცვლის ჟანრის სემანტიკასაც, მის შინაგან ბუნებას. შემადგენლობის ცვლილება თითქმის ყოველთვის გვაძლევს სიმფონიის რომელიმე სხვა ჟანრთან სინთეზის სახეობებს. ერთი მხრივ, ესაა სიმფონიის სინთეზი ინსტრუმენტული მუსიკის სხვა ჟანრებთან, ხოლო მეორე მხრივ კი – ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებთან, რაც ასახულია ამ თავის ორ პარაგრაფში.

⁸ Канчели, М. (1969). *Крупная одночастная форма в музыке XIX и на рубеже XX века*. Тбилиси: Ганатлеба, стр.: 203

სიმფონიის ინსტრუმენტული მუსიკის სხვა ჟანრებთან სინთეზს (კამერული ანსამბლები, ინსტრუმენტული კონცერტი) ვუწოდებთ **შიდაჟანრულ** სინთეზს, რადგან XX საუკუნეში დაწერილი სიმფონიების ძირითადი ნაწილი სონატურ-სიმფონიურ ციკლზე დაფუძნებულ ინსტრუმენტული მუსიკის სხვა ჟანრებთან ავლენს მჭიდრო კავშირს. ერთი მხრივ, ესაა კამერული ანსამბლი, ხოლო მეორე მხრივ, ესაა ინსტრუმენტული კონცერტი. ამ კონტექსტში განვიხილავთ შონბერგის, ნასიდის, გაბიჩვაძის, ადამის, ვებერნის კამერულ სიმფონიებს, სტრავენსკის „სიმფონიას სამ მოძრაობად“, შნიტკეს Concerto grosso № 4 / სიმფონია № 5-ს.

ვოკალურ ჟანრებთან სიმფონიის სინთეზი, რომელსაც **ჟანრ-თაშორის** სინთეზს ვუწოდებთ, XX საუკუნის სიმფონიებში გამოიხატება, ერთი მხრივ, მალერის (უფრო ადრე შუბერტის – ინსტრუმენტულ დონეზე) ტრადიციიდან აღმოცენებულ სიმღერა-სიმფონიაში, ხოლო, მეორე მხრივ, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან მომდინარე საგუნდო სიმფონიაში.

ამ კონტექსტში განვიხილავთ შნიტკეს მეორე, ნასიდის მეექვსე, სტრავენსკის „ფსალმუნების სიმფონიას“; ბერნსტაინის „იერემიას“, შოსტაკოვიჩის მეთოთხმეტე და გურეცკის მესამე სიმფონიებს.

შიდაჟანრული, სიმფონიის კამერულ ჟანრებთან სინთეზის შედეგი XX საუკუნის მუსიკაში უკვე ცალკე ჟანრად ჩამოყალიბებული კამერული სიმფონიაა. იგი ძირითადად, ერთნაწილიანია და რიგი თვისებებით მჭიდრო კავშირს ავლენს ანალიტიკური ნაწილის მეორე თავში განხილულ ერთნაწილიან სიმფონიებთან. სონატურობისა და სონატურ-სიმფონიური ციკლის სინთეზი კამერული სიმფონიისთვისაც ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

მრავალნაწილიან სიმფონიასთან კავშირს ავლენს გაბიჩვაძის მეთოთხე კამერული სიმფონია. მასში შვიდი ნაწილია თითოეულის პროგრამული სათაურით. ისევე როგორც მრავალნაწილიან სიმფონიაში, აქაც ნაწილთა გაერთიანების

ტენდენცია იკვეთება.

კამერული სიმფონიებისადმი მიძღვნილ დისერტაციის თავში განვიხილეთ ასევე XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი ერთი უჩვეულო კამერული სიმფონია, რომელიც სრულიად განცალკავებით დგას როგორც კამერული, ისე არაკამერული სიმფონიებისგან. ეს ვებერნის სიმფონია op. 21-ია – ნაწარმოები, რომელიც თავისი მნიშვნელობით ზოგადად სიმფონიის ჟანრის განვითარების მწვერვალს და, ამავდროულად, ჩიხს წარმოადგენს.

შიდაქანრული სინთეზის საინტერესო სახეები გამოვლინდა სიმფონიისა და ინსტრუმენტული კონცერტის თვისებების შერწყმისას. განვიხილეთ სტრავენსკის „სიმფონია სამ მოძრაობად“, სადაც ნაწარმოების დასახელებაში სიმფონიის გამოტანის მიუხედავად მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონცერტის ნიშნები და შნიტკეს კონცერტი-სიმფონია, რომელიც წარმოადგენს ორი ჟანრის – კონცერტისა და სიმფონიის უჩვეულო ურთიერთმოქმედებას. ამ უკანასკნელში, წარმმართველი როლი სიმფონიის თავისებურებებს აქვთ.

ამგვარად, კამერული სიმფონია ძირითადად ორი გზით განვითარდა. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს შემადგენლობის დონეზე კამერულ სიმფონიასთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ციკლურობა ერთნაწილიანობაში, ან მრავალნაწილიანობაში ნაწილთა თემატური გაერთიანების ტენდენცია. ამ ტიპის კამერულ სიმფონიებში, სხვადასხვა დონეზე ვლინდება ჟანრის ტრადიციული ნიშნები (შონბერგის, ნასიდის, გაბინვაძის, ადამსის კამერული სიმფონიები). ხოლო, მეორე მხრივ, საქმე გვაქვს ისეთი ტიპის კამერულ სიმფონიასთან, სადაც კამერულობა ტოტალურ ხასიათს ატარებს და ჟანრის პარადიგმული ნიშნების გამოვლენის დონე მინიმუმამდეა დაყვანილი (ვებერნის op. 21). სხვაგვარადაა საქმე სიმფონიისა და ინსტრუმენტული კონცერტის სინთეზისას. აქ, ერთ შემთხვევაში, დომინირებს ინსტრუმენტული კონცერტის თვისებები (უპირველეს ყოვლისა, თამაშის პრინციპი) სიმფონიის მთავარი პარადიგმული ნიშ-

ნის – განზოგადებული კონცეფციის ნიველირების პირობებში (სტრავენსკის „სიმფონია სამ მოძრაობად“), ხოლო, მეორე შემთხვევაში, ნაწარმოების დასახელებაში ორი ჟანრის ფიგურირების მიუხედავად, ინსტრუმენტული კონცერტი მთლიანად ემორჩილება სიმფონიის „კანონებს“ – პირველ რიგში კი, განზოგადებულ კონცეფციას (შნიტკეს კონცერტი-სიმფონია).

შემადგენლობისადმი მიძღვნილი თავის **მეორე პარაგრაფი** ჟანრთაშორის სინთეზს შეეხო. განვიხილეთ სიმფონიები, რომლებშიც ვოკალური (სოლო და საგუნდო) ჟანრების ნიშნებია შეჭრილი. ერთი მხრივ, ესაა ინსტრუმენტული და საგუნდო ჟანრების შერწყმის ნიმუშები: შნიტკეს მესა-სიმფონია, სადაც ნაწილთა რაოდენობა, მათი დასახელება მესის კანონიკიდან გამომდინარეობს, ხოლო განზოგადებულობა, გამჭოლი განვითარება კი სიმფონიიდან. ასევე ნასიძის სიმფონია *Passione*, რომელშიც ანალოგიურად, გუნდის განზოგადებას წარმოადგენს ორკესტრი. სტრავენსკის „ფსალმუნების სიმფონია“, სადაც სიტყვა „სიმფონია“ ძირითადად, ეტიმოლოგიურად გაიაზრება როგორც ფსალმუნების კრებული, მათი თანაჟღერადობა, ხოლო ნაწილთა თანმიმდევრობასა და თანაფარდობაში არ ვლინდება სიმფონიის ტიპოლოგიური ნიშნები. მეორე მხრივ კი განვიხილეთ სიმფონიისა და სიმღერის სინთეზის საინტერესო ნიმუში – ბერნსტაინის სიმფონია „იერემია“, რომელიც მალერის მეოთხე სიმფონიის ხაზს აგრძელებს (ვოკალის ფინალში შემოსვლა), მისი სტრუქტურა ასევე მკაფიო კავშირს ავლენს ტრადიციულ მოდელთან: პირველ ნაწილში სონატური ფორმის ნიშნები, მეორე ნაწილი – სკერცო და ნელი ფინალი.

